შ.პ.ს. „ჰიდროპროექტი“

ქ.თბილისი, გ.ხანცთელის 23, ს/ნ 404 586 104

ტელ. +995 591 414 207: +0322 921 581. Email: i.tsurtsumia777@gmail.com

N მც-ჰი 17/01

08.01.2025 წ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას და შპს „ჰიდროპროექტი“-ს შორის გაფორმებული NAT240015411 ხელშეკრულება N32 საფუძველზე შევასრულეთ ქ. მცხეთის, სოფელ ბიწმენდში ახატანის ხევის კალაპოტში ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო სამუშაოები (მეორე ეტაპი).

მცხეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჰიდროპროექტი“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩვენს მიერ დაპროექტებული პროექტის შეთანხმებას „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს კერძოთ ნაპირდაცვის სამსახურთან შეთანხმებას კერძოთ სკრინინგის კუთხით, რაც ასახულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჰიდროპროექტი“-ს ჩატარებული ტენდერის კერძოთ NAT240015405 ტენდერის მონაწილეობის 1.2 პუნქტის სხვა მოთხოვნის შესაბამისად:

-„ მიმწოდებელმა მოახდინოს, საქართველოს კანონის “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა არ საჭიროებს გ.ზ.შ-ს, მოამზადოს გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმა და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას გრუნტისა და ინერტული მასალის დასაწყობების ადგილი. აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას პროექტის ფარგლებში ხე-მცენარეებით დაკავებული ტერიტორიის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, მისი ამორიცხვის ან მოჭრის ნებართვის მისაღებად.

-მიმწოდებელი ვალდებულია, ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოება შეიტანოს საპროექტო დოკუმენტაციაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე (დამკვეთთან შეთანხმებით);

აქვე ავღნიშნავთ რომ მოცემული პროექტი წარმოადგენს გასულ წელს სხა საპროექტოს მიერ დაპროექტებული ნაგებობის გაგრძელებას რაზეც თქვენი უწყებიდან გაცემულია სკრინინგის ანგარიშის თანხმობა ხოლო ამ ეტაპისთვის ანუ მეორე ეტაპის პროექტირება და სკრინინგის ანგარიშის შეთანხმება თქვენს დაქვემდებარებულ უწყებასთან მოგვიწია ჩვენ შპს „ჰიდროპროექტი“-ს. (აქვე ავღნიშნავთ რომ პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს) აქვე ავღნიშნავთ რომთქვენს მიერ გამოთქმული შენიშვნები დაკორექტირდა კერძოთ საპროექტო გადაწყვეტაში ჩაემატა ნაგებობის დასაწყისის და დასასრულის X,Y კორდინატები ასევე „სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა მოკლე დახასიათება“ თავში დაკორექტირდა „წყალმომარაგების სისტემის მოწყობის ძირითადი საპროექტო ღონისძიებების დეტალური აღწერილობა მოყვანილია საერთო განმარტებით ბარათში“ ნაცვლად ჩასწორდა „მდინარე ახატანის ნაპირსამაგრი რკინაბეტონის კედლის მოწყობის ძირითადი საპროექტო ღონისძიებების დეტალური აღწერილობა მოყვანილია საერთო განმარტებით ბარათში“ და კალენდარულ გრაფიკშიც მიეთითა პროექტის დასახელება.

რაც შეხება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მუხლების 78-ე და მე-7 მუხლის 6 ნაწილის მიხედვით დამატებით წერილს მოგაწვდით მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია რაზეც პარარელულ რეჟიმში შპს „ჰიდროპროექტი“-მა მივმართეთ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

გთხოვთ შეგვითანხმოთ შპს „ჰიდროპროექტი"-ს მიერ დაპროექტებული მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ ბიწმენდში მდ. ახატანის რკ/ბეტონის ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის სკრინინგის ანგარიში.

დანართი: 1. მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ ბიწმენდში მდ. ახატანის რკ/ბეტონის ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური და ელექტრონული ვერსია CD და DVD დისკის სახით. (CD დისკად პირველი დისკი პროექტი დედანი ფაილები ხოლო აერო ფოტოები DVD დისკის სახით).

2. საპროექტო არიალის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით shp-ფაილის სახით.

3. პროექტის გრაფიკული ნაწილი დედანის სახით AutoCad ფორმატში.

4. საპროექტო არიალის პროექტირების პერიოდის აერო ფოტო გადაღება (დრონის მეშვეობით)

5. შპს „ჰიდროპროექტი"-ს მიერ გაგზავნილი წერილი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში.

პატივისცემით,

შპს „ჰიდროპროექტი"-ს დირექტორი /ირაკლი წურწუმია/

08.01.2025 წ.

Irakli Tsurtsumia 19001006959

Digitally signed by Irakli Tsurtsumia
Date: 2025.01.08 05:38:56

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო

13 01 2025 წ.

№ 22